

საქართველოს კანონი
„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“
საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №49, 2000, მუხ. 140) დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ მუხლი:

„მუხლი 5¹. მოთხოვნები ფილმის დემონსტრატორთა და ფილმის ჩვენების მიმართ

1. ფილმის დემონსტრატორის მიერ ფილმის (მათ შორის, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმის) კინოდარბაზში ჩვენება, შესაძლებელია მხოლოდ ფილმის პირველადი წარმოების ენაზე, საქართველოს სახელმწიფო ენაზე სავალდებულო სუბტიტირების პირობით.

2. ფილმის დემონსტრატორის მიერ კინოდარბაზში ფილმის ჩვენების მიმართ მოთხოვნები განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი